№ 253 კვირა, 13 ივლისი. 1896—1897 კვირა, 13 ივლისი, № 253.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ.
ვისაც
ხვედრი ფული
არ შემოუტანია,
იმათ გაზეთის
გზავნა
მოესპობა.

⁂

გაზეთი
«ცნობის ფურცელი»
წლის დამლევამდე ღირს
ოთხი |4| მან.
«საქართველოს კალენდრით»

კბილის საექიმო კაბინეტი
ვ. ი. ჭიჭინაძისა

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქ., № 81, სლივიცკის სახლი (იქ, სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათსაათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1\frac{1}{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6\frac{1}{2}$—$7\frac{1}{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. არშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

11 ივლისი.

პარიზი. როგორც ოფიციალური წყაროებიდგანა სჩანს, მენელიკს საფრანგეთის ერთის ამხანაგობისათვის კონცესსია მიუცია 99 წლით აბაშეთში ყველა რკინის გზის გაყვანისა.

სტოკჰოლმი. ექიმ ეკჰოლმს, რომელიც შარშან ანდრესთან მოგზაურობდა, განუცხადებია, რომ ჩემის აზრით, ის მტრედი, რომელიც სტავანგერში დაუჭერიათ, ანდრეს გამოგზავნილი არ არისო. ანდრე ვერცხლის ბეჭდებს არ უკეთებს მტრედებსაო. ამას გარდა, მტრედის ფრთის წარწერაზედ ანდრეს სახელი არ არის მოხსენებული. დასასრულ, ის გარემოება, რომ ნიშნები ნათლად არ არის აღნიშნული, საქმეს საეჭვოდა ჰყოფს.

რომი. როგორც ნერაცინის მისსია იუწყება, მენელიკი წინადადებას აძლევს, ნაცვლად 1891 წლის საზღვარისა, ახალი უკეთესი საზღვარი იქმნეს გაყვანილი, მანამდის-კი დაცულ იქმნას საქმეთა აწინდელი ვითარება. გადაწყვეტილია, დასდონ მეგობრული და სავაჭრო ხელ-შეკრულობა. ამასთანავე იტალიას უფლება ეძლევა იყოლიოს სადიპლომატიო წარმომადგენელი მენელიკთან.

სტამბოლი. ჯევადფაშა „ქიამილი“ გემით კრიტში წავიდა უწარჩინებულესს სამოქალაქო მოხელეებისა და საგენერალო შტაბის ოფიცრებთან ერთად.

სტოკჰოლმი. გაზეთი „Aftonbladet“-ი, რომელთანაც ანდრეს პირობა აქვს მოგზაურობის პირველ ამბავს შენ გაუწყებო, სწერს, რომ სტავანგერში დაჭერილი მტრედი ანდრეს გაშვებული არ არისო, იმიტომ, რომ ანდრე|ს მტრედები შემდეგის სიტყვებითაა აღნიშნული: „ანდრეს ექსპედიცია. ა. ბ. 1897 წელი“.

ფილიპპოპოლი. ბოიჩევის საქმეში ბრალდებულმა ჟანდარმმა ვასილევმა დანაშაული აღიარა. აგრეთვე გამოტყდა პოლიციის პრეფექტი ნოველიჩი და სთქვა, რომ კაპიტნად ნამყოფმა ბოიჩევმა დაალრჩო ანნა სიმონიო. ბოიჩევი ყველაფერს უარსა ჰყოფს.

სტამბოლი. პორტამ წარადგინა ელჩების მიერ მოთხოვნილი განცხადება იმის შესახებ, რომ ვღებულობ დიდ სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენლების მიერ წინადადებულს საზღვარს თესალიისასო.

ახალი ამბავი

⁂ **ბ-ნი გზათა მინისტრის წაბრძანება ბორჯომში.** წუხელი საღამოს, 11 საათზე, გზათა მინისტრი თავ. მიხეილ ივანეს ძე ხილკოვი საგანგებო მატარებლით წაბრძანდა ბორჯომში, სადაც ერთს დღეს დაჰყოფს, თურმე.

⁂ **თხოვნების მიღება ბ ნ გზათა მინისტრისაგან.** გზათა მინისტრს თავ. მიხეილ ივანეს ძე ხილკოვს გამოუცხადებია რკინის გზის უფროსისათვის, რომ იგი თხოვნებს მიიღებს გზათა მოსამსახურე პირთაგან 14 ამ თვეს, ორშაბათს, დილით, აქაურის სადგურის საგანგებო ოთახში.

⁂ **საჭიროებანი ჩვენის ქვეყნისა.** ჩვენა ვნახეთ პეტერბურღის დიდმა და გავლენიანმა გაზეთმა რაფერის წამლებით დახატა ჩვენი ეკონომიური დაქვეითება და მიწასთან გასწორება, ჩარჩმა და მოვახშემ მაჭამა საქართველოვო.. და სამწუხაროდ ეს სრული ჭეშმარიტებაა. არავითარს გაუმჯობესობაზედ, არავითარ პროგრესზე ველარ უფიქრია ქართველ კაცს, ის მუშაობს გამუდმებით, დღე-ღამეს ასწორებს, რომ ჳმხოლოდ მოვახშის ვალის სარგებელი გაისტუმროს. თავენი ხომ რჩება იმაზედ და არ იცის, როდის გადიხდის მას.

ამავე დროსაო არ არსებობს კავკასიაში ისეთი სმკრედიტო საზოგადოება, რომელიც დაჰხმარებოდა ხალხს და ჩარჩის მძიმე უღლიდგან გამოეხსნა. 1895 წელს, გაზეთების სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა ჰქონდა სახელმწიფო ბანკიდგან ეძლივა სესხი მეთამბაქოების თვის, ზომით თანაბარი $60_0/^0$ საქონლის ღირებულებისა. ეს ღირებულება უნდა აღენიშნა ბანკის წარმომადგენელს აქციზის მოხელის თანადასწრებით. ეს განზრახვა განზრახვადვე დარჩა და საქმით არა გაკეთებულა-რა. ამიტომ მეთამბაქოებიც ისევე არიან ჩარჩების ბრჭყალებში დამწყვდეულნი, როგორც ვენახის პატრონები.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ უმამულობა, უგზობა და ჩარჩობა-მევახშობა არიან ის ქვა-კლდენი, რომელნიც აღმართულან საქართველოს პროგრესის გზაზედ. ეს გარემოებანი დღითი-დღე, ნელ-ნელა მატლივით სჭამენ, ღრღნიან საქართველოს კეთილ-დღეობას და ლამობენ ეს უმშვენიერესი კუთხე ქვეყნისა, ეს მდიდარი და უხვი ქვეყანა გადააქციონ გლახაკთა და მათხოვართა სადგურად.

ჩვენც დაგვიკრებია გულ-ხელი და არხეინად ვუცქერით ჩვენს ნელ-ნელა შამფურზედ წვას, ჩვენს დავაგლახებას. განა ცოტა რამ შეგვეძლო გაგვერიგებინა საერთო შრომით, ამხანაგობების დაარსებით, საზოგადო სავაჭროების გახსნით, სამეურნეო საგნების საწყობების გამართვით დიდს ქალაქებში... მაგრამ ყველა ამას ფხა უნდა, შნო, უნარი და ეს საფანელიკი სწორეთ არ გახლავს; არ გახლავს იმიტომ, რომ ზარმაცები ვართ, უზრუნველნი ხვალინდელ დღისათვის. ჩვენში ორი კაცი ერთმანეთში ვერ მორიგებულა, ამხანაგობა ვერა შემდგარა რა, მაშინვე დაიბადება შური, მტრობა, თავმოყვარეობათა ურთიერთს შორის დაჯახება. საზოგადო საქმეს პირად ღირსებას და ცრუ-თავმოყვარეობას შევწირავთ ხოლმე.

პეტერბურგის გაზეთი იმითი აბოლოვებს თავისს წერილს ჩვენზედ, რომ ურჩევს მთავრობას დაგვიარსოს ახალი საგლეხო ბანკი. კიდევ ბანკი! განა ქართველებს შნო გვაქვს ბანკით ვისარგებლოთ?

რომელი ბანკი გაუძლებს ქართველურს „ავიღე და ველარ მოგეს“. ანუ რასა ჰგავს ეს გამუდმებული შეჩივლა მთავრობისადმი: გვიშველეთ, ვიღუპებითო. უნდა მწუხარებით აღვიაროთ, რომ, რომელი ერიც ასე ჩვენსავით სულ მთავრობას შესჩივის: გვიშველე და გვიწყალობე რამეო, იგი ერი განწირულია, იმისი დღენი დათვლილია. წყალობა და დახმარება ისეთი რამეა, რომელსაც თავისი საზღვარი და ბოლო აქვს. გამუდმებული არც წყალობა შეიძლება, არც მოწყალება. სულ სხვაა თვით-მოქმედება, თვით-შველა. ამ გზით მავალ ერს საზღვარი და დასასრული არა აქვს. რაც მეტს სიფხიზლეს და თვით-შველა-მოქმედებას იჩენს, მით მეტი საქმე უჩნდება წინ, მით მეტი ხალისიც ეძლევა ამ საქმის გაკეთებისა, მით მეტს განვითარებაში შედის, როგორც ეკონომიურს, ისე გონებრივსა და ზნეობრივსა.

მაშ ვეძიოთ წამალი ჩვენშივე, გავისარჯნეთ, გავუმჯობესდეთ!

⁂ **ხელოსანთა კრება.** მოვაგონებთ ტფილისის ქართველს ხელოსნებს, რომ დღეს, დილის 11 საათზე, განზრახულია მათი კრება სათავადაზნაურო თეატრის დარბაზში მოსალაპარაკებლად შესახებ საამხანაგო სავაჭრო დუქნის დაარსებაზე.

⁂ **ნახრზედ გადამეტებული ფასება.** რისთვის არის ნიხრი შემოღებული, თუ-კი ვაჭრები მას ყურადღებას არ მიაქცევენ?. ტფილისის მე-10 პოლიციის ნაწილში ყოველ დუქანში ცხვრის ხორცი იყიდება 9—10 კაპიკად გირვანქა, თუმცა იქვე აკრული ნიხრი ღაღადებს, რომ „ცხვრის ხორცი გირვანქა 8 კაპიკიაო“. ნეტა ვიცოდეთ, რას აკეთებენ გამგეობის აგენტები, სავაჭრო პოლიცია და თვით გამგეობა?..

**** ქართული წარმოდგენა ნაძალადევში.** დღეს, საღამოს, ნაძალადევის უბანში გამართული იქმნება სცენის მოყვარეთაგან ქართული წარმოდგენა (საეკკლესიო ადგილის პირდაპირ), წარმოადგენენ „პეპოს" და ახალს პიესას ავ. ცაგარლისას „ჭკუისა მჭირს". ფასები მეტად იაფია: ორი შაურიდგან მოყოლებული სამ აბაზამდე. იმედია, რომ ნაძალადევის უბნელები ბლომად დაესწრებიან ამ წარმოდგენას, რომლის შემოსავალი საქველ-მოქმედო საგანს უნდა მოხმარდეს.

**** ტფილისის უძრავ-მამულების ახლად დაფასება.** 11 ივლისს, ქალაქის გამგეობაში შესდგა კრება შეერთებულ ქალაქის გამგეობისა და მამულების დამფასებელ კომისიისაგან. სხდომამ დაადგინა ტფილისის უძრავი მამულების ახლად დაფასება მთელს ქალაქში ერთ დროს არ უნდა იყოს დაწყობილი. ახლად დაფასება ჯერ ერთ ნაწილში ან უბანში უნდა გათავდეს და შემდეგ მეორეში დაიწყონო. დაადგინეს აგრეთვე, რომ მოწვეულ იქმნეს ორი ტეხნიკი ახლად დაფასებული პარტიის სამუშაოს გეგმის შესადგენად. დასასრულს კრებამ დაასახელა ტეხნიკები და ამოირჩია რამდენიმე კაცი პარტიაში სამუშაოდ. ახლად დაფასებას დაიწყებენ 1 აგვისტოდგან.

**** ლატარია-ალეგრი თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ.** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ ნება დართო თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობას, გამართოს ამ წელს ლატარია ალეგრი ქ. თელავში 500 მანათის სალირალიო.

**** ქუთაისის სემინარიის შენობის ადგილი.** როგორც გაზ. ნოვ. ობოზრენიეს" ატყობინებენ ქუთაისიდგან, იქაური სემინარიის შენობის ადგილად დასახელებულია სამი ნაჭერი, მათში ამორჩეული იქმნება ის, რომელიც უფრო გამოსადეგი და უფრო იაფი ფასის იქნება სასულიერო სემინარიისთვის. სამთავე ნაჭერის გეგმები უკვე წარდგენილია უმაღლესს სასულიერო მმართველობასთან კავკასიაში. ადგილს შეისყიდიან თუ არა, მაშინვე შეუდგებიან შენობას.

**** ქიზიყის სახალხო დეპოს წესდების უარყოფა.** შინაგან საქმეთა მინისტრი ატყობინებს კავკასიის მთავარ მართებელს, რომ არქიმანდრიტის ლეონიდის, ბლაღოჩინის კირილე ღვთისავრიშვილის, ნ. ს. პაიჭაძის და სხვ. შუამდგომლობა შესახებ „ქიზიყის სახალხო დეპოს" წესდების დამტკიცებისა შეწყნარებულ არ იქნა და არ დამტკიცდაო.

ეხლა, რაკი თვით მთავრობამ შეადგინა ამ გვარი ამხანაგობებისათვის წესდება, უეჭველია, ქიზიყის დეპოს მმართველნი დროზედ წარადგენენ წესდებას ბ-ნ გუბერნატორთან, რომელიც ახალის კანონით ამტკიცებს ასეთს წესდებას.

**** ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის დამხმარებელი საზოგადოება.** იმავე მინისტრის ამხანაგმა დაამტკიცა წესდება ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა.

**** რკინის გზის საქალებო პროგიმნაზია ტფილისში.** კავკასიის რკინის გზის მმართველობაში მსახურთ განუზრახავთ გზათა მინისტრის თავ. ხილკოვთან იშუამდგომლონ ახლანდელ რკინის გზის საქალებო სასწავლებლის ოთხ-კლასიან საქალებო პროგიმნაზიად გადაგვარებაზე იმ პროგრამით, როგორც დედოფალ მარიას პროგიმნაზიები არსებობენ.

**** ოსიაურელებ'ის თხოვნა.** ს. ოსიაურის (გორის მაზრა) სახაზინო გლეხებმა მიართვეს კავკასიის მთავარ მართებელს თხოვნა, რომელშიაც შუამდგომლობენ, — მიეცეს მათაც ნება მამასახლისების და მოსამართლეების ამორჩევისა.

**** პოლიტეხნიკუმი კავკასიაში.** გაზ. „პეტერ. უწყ." გვატყობინებს, სახალხო განათლების სამინისტროში მალე გაირჩევა კითხვა ქ. კავკავში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე იმ იმ ტიპისა, როგორიც არის რიგის პოლიტეხნიკური სასწავლებელი. ამ სასწავლებლის შესანახად თერგის ოლქის ქალაქებმა აღუთქვეს, შეძლებისდაგვარად, შემწეობის აღმოჩენა.

**** გამიჯნვა ამიერ კავკასიისა.** ამიერ კავკასიაში მიწების გამიჯნვის საქმე, „პეტერბ. უწყ." სიტყვებით, მალე გათავდებაო.

**** ქალაქების საქციონერო საზოგადოებანი.** ყველამ იცის, რომ ქალაქები ნივთიერად ხშირად შეუძლებლები ხდებიან პასუხი გასცენ იმ სავალდებულო გადასახადებს, რომლებიც კანონით დაკისრებული აქვთ. აქამდისინ ქალაქებს არა აქვთ ისეთი კრედიტი, რომლითაც შეეძლოთ თავიანთი მოვალეობის პირ-ნათლად გასტუმრება. მართალია, დიდ ქალაქებში, როგორც პეტერბურგი, მოსკოვი, ოდესსა სცემენ ობლიგაციონურ სესხებს. მაგრამ უმრავლესს ქალაქებს არ ძალ-უძთ ამ გვარად კრედიტის შოვნა. ეხლა, როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, — არსდება ამგვარი საქციონერო საზოგადოება, როგორც საადგილ-მამულო ბანკებშია მიღებული. ამ საქციონერო საზოგადოებას ექმნება მიზნად: მოუპოვოს ქალაქებს იაფი ხანგრძლივი კრედიტი. საზოგადოების წესდება უკვე შემუშავებულია და წარსდგება საფინანსო სამინისტროში დასამტკიცებლად.

**** უფასო კორესპონდენციების გაგზავნის აღკრძალვა.** რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა აცხადებს, რომ ბლაღოჩინთა თანაშემწეებს არ შეუძლიანთ ფას-მიუცემლად გაგზავნონ სახაზინო კორესპონდენციების სახელით არა ვითარი მიწერ მოწერა, ფასიანი პაკეტები, სანთლის ამანათები და სხვ. აგრეთვე არ შეუძლიანთ ეკკლესიის მსახურებს გაგზავნონ უფასო კორესპონდენციები სანთლის ქარხანაში, საწყობებში და საპენსიო კასებში...

**** საზაფხულო საპედაგოგიო კურსები.** (გაგრძელება). დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთ „ივერია"-ში აღძრულ იყო კითხვა ქალების დაქვეითებულ მდგომარეობაზედ. მამაკაცნი ბრალსა სდებდნენ ქალთ და უქადაგებდნენ თვითონვე ეზრუნათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, მამა-კაცთ დაუხმარებლივ. ქალნი თავიანთ დაქვეითებულ მდგომარეობის მიზეზად სთვლიდნენ მამაკაცთ და მათგანვე ითხოვდნენ მდგომარეობის გაუმჯობესობას. არა ვკისრულობთ ამ კითხვის გარჩევას, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი ქალთა ცხოვრებიდგან. დღევანდლამდის საზაფხულო საპედაგოგიო კურსებზედ მოწვეულნი მასწავლებელნი ქალნი არ იჩენდენ თავის უნარს. დღეს-კი, როდესაც ბ.ბ. მასწავლებელთ გარემოების მიხედვით ჩაიცვეს დახეულ-დაკონკილი ტანისამოსი უთაკილოდ, ქალები უკან არ ჩამორჩნენ, მათაც გაიხადეს სავიზიტო მორთულობა და დაიწყეს უბრალო კაბებით სიარული. ტანისამოსის გამოცვლას მოჰყვა მხურვალე მონაწილეობის მიღება პრაქტიკულ გაკვეთილებში. ყველასათვის მოულოდნელად ქალები ერთი-მეორეზედ იკიდებდნენ ზურგზედ ვერმორელის პულვერიზატორს(აპარატს)და ვარჯიშობდნენ ვაზების წამლობაში.

აღვნიშნავთ-რა სიამოვნებით ამ ცვლილებას, ვუსურვებთ განეგრძოთ პირველი ნაბიჯი წარმატებისაკენ არამც-თუ მარტო მასწავლებლებთან, არამედ ყველგან და ყველასთან და სავსებით განეხორციელებინოთ ყველას თვალ-წინ თვისი მოწოდება.

მორიგი ლექციები საბაღოსნო სკოლაში წაკითხულ იქმნა ბ.ბ. კრავჩენკოს, ტურჩინსკის და ტიმოფეევის მიერ. ბ-ნ კრავჩენკომ შემდეგი საბოსტნო მცენარეები: სხვა-და-სხვა გვარი კიტრი და მათი ხელის შეწყობა, ბადრიჯანი, გოგრა, ნესვი, საზამთრო, ხახვი, პილპილი, ჭარხალი, ბოლოკი, ხარდალი. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია კართოფილის თესვას, ხელის შეწყობას. მოკლედ გააცნო მისი ისტორია, მნიშვნელობა დაბალი ხალხისთვის უცხოსა და ჩვენს ქვეყანაში. ბ-ნ ტურჩინსკიმ გააცნო ვაზის გამრავლება-აგებულება და გარეგანი სახე განმარტა აგრეთვე ის, თუ როგორ ნიადაგზედ რა ჯიშის ვაზი უფრო ხარობს. ბ-ნ ტიმოფეევმა გააცნო ვრცლად მთელ საქართველოში მოდებული ვაზის ავადმყოფობა ნაცარი (oidiym). მოკლედ გააცნო მისი ისტორია უცხოსა და ჩვენს მხარეში, მისი განვითარება და აგებულება. დასასრულ უჩვენა გამადიდებელ შუშით (მიკროსკოპით საგანის ათასჯერ გამადიდებელი) ნაცარის აგებულება. ბოლოს მსმენელთ ურჩია შეიძინონ რუდსკისა, კულმაგინისა და კირხნერის სახელმძღვანელონი.

ბ.ბ. ს. ნ. ტიმოფეევი და ფ. ვ. ტურჩინსკი დიდი ხანია ბრძანდებიან საქართველოში და ამიტომაც მათ გაკვეთილებს უფრო ფასი სძევს. ბ. პ. ს. კრავჩენკო-კი დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში მობრძანდა, ხშირად თვითონაც ბოდიშს იხდის, „კარგად არა ვარ გაცნობილი აქაურ მეურნეობასთანაო", სამაგიეროდ არა ჰზოგავს თავის შრომას და დიდი მადლობის ღირსია.

კარგი იქნებოდა საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველი ნ. გ. ტატიშვილი იშუამდგომლებდეს, ვისთანაც ჯერ არს, რათა მასწავლებელთ ესარგებლნათ სასულიერო სასწავლებელში შეგირდთათვის მოთავსებულ აბანოთი. ჩვენის ფიქრით, დამაბრკოლებელი მიზეზი არაფერია. თუ მაინცა-და-მაინც სასულიერო სასწავლებელი არ იკისრებს წყლის ფასს, დიდ ხარჯს არ შეადგენს. ხუთი ვედრო წყალი ერთი კაპიკი და თუნდა საეპარქიო სამოსწავლო საბჭომაც უარი განაცხადოს, თვით მასწავლებელნი სიხარულით გამოიღებენ თავიანთ წვლილს, ოღონდ საშუალება მიეცეთ ამ სიცხე-პაპანაქებაში ტანიდგან ოფლის სუნი მოიშორონ.

მით უმეტეს საჭიროა ყოველდღე ბანაობა, რომ მასწავლებელნი ერთ ოთახში არიან მოთავსებულნი და, რა თქმა უნდა, ყოველი ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული ჰაერის სისუფთავისთვის; უკანასკნელ შემთხვევაში, აუცილებელია ავადმყოფობა, როგორც თანდათან იწყობა კიდეც. ასეთი გარემოება კი სასურველ ნაყოფს არ მისცემს საზაფხულო საპედაგოგიო კურსებს.

მ—შვილი.

**** ბათომი. უეცარი სიკვდილი.** სადგურ ბათომზე 9 ივლისს, მერვე საათის დასაწყისში, ნოვოროსიიდან გემით ჩამოვიდა ერთი სომეხი იოსებ აბელის ძე გალუსტოვი, ახალ-ქალაქის მცხოვრები. ჩამოვიდა თუ არა, რკინის გზაზე ბილეთი აიღო მესამე კლასისა, ჩამოჯდა სკამზე და მატარებელს უცდიდა. ამ დროს რაღაც მიზეზით გული შეუწუხდა და სკამიდან ძირს გადმოვარდა... მისცვივდნენ მაშინათვე ჟანდარმები და სადგურის მოსამსახურე-დამტარებლები, დააწვინეს საკაცეზე და ქალაქის საა-

---

გაზეთები ამერიკაში.

ერთს ნაწილს ნიუ იორკისას ჰქვიან „ქვემო-ქალაქი". აქ არის ბირჟა და სხვა-და სხვა ნაირი სავაჭრო კონტორები- სუსტის ნერვების პატრონს აქ თავბრუ დაესხმება: ხალხი აქ ისე მოძრაობს, ისე გარბის-გამორბის, თითქო დამთხვეულები არიანო. ყველა ქუჩები გატენილია აუარებელის ხალხით. ისმის განუწყვეტელი ზარის რეკა „ცხენუკებისა", ელექტრონის ტრამვაებისა; ერთის სიტყვით, სიცოცხლე აქ სდუღს და გადმოდის. აგერ დადგა ექვსი საათი და ქალაქი თითქოს მოკვდაო, ჩაქრა ყოველი სიცოცხლე. ამ ჟამს ყველა მაღაზიები, რესტორანები, ბირჟები და კონტორები იკეტება; ხალხი ბრუნდება სახლში, ქალაქის სხვა ნაწილებში. აგერ შებინდდა და შესწყდა უკანასკნელი ხმაურობაც. ეს ზღვა უზარმაზარ, ცამდის ასულ შენობებისა და დარბაზებისა მოუცავს სიჩუმეს. მყუდროება და სიჩუმე განსაცვიფრებელია. ასე გგონიათ, რომ მცხოვრებნი სულ ამოწყვეტილან და ცარიელი სახლები-ღა სდგასო. ამ სიჩუმეში უფრო კარგად მოჩანან რამოდენიმე უზარ მაზარი შენობა ძირით-თხემამდე ელექტრონის ცეცხლით განათებული. მეტადრე შესანიშნავია ერთი სახლი. იმას რომ შეჰხედავთ, ქუდი უნდა დაიმაგროთ, თორემ მოგვარდებათ. მისი ჭერი ზეცაში იკარგება. ზედ არის გამართული ბაქანი, სადაც ხალხი აჰყავთ მანქანების შემწეობით. ჩინებული სურათი წარმოუდგება ამ სიმაღლიდამ კაცს. მთელი ნიუ-იორკი თქვენს წინ ისეა გაშლილი, როგორც ხელის გული. ბაქანს ზემოდამ გუმბათია, რომელიც ელექტრონის ვარსკვლავებით არის განათებული. გაკაშკაშებული სინათლით სარკმლები გვამხელენ, რომ ამ სახლში დუღს მუშაობა, მუშაობა მედგარი, არაჩვეულებრივი, არ ნახული და არ გაგონილი არსად. დიახ, ამ შენობაში მზადდება გაზეთი „The Worla". ეს შესანიშნავი უზარ-მაზარი ფაბრიკა ეკუთვნის უნგრეთელ ურიას პულიცერს. ის მოვიდა ამერიკაში ოცი-ოცდა-ათის წლის წინად, ჯიბეში კაპიკი არა ჰქონდა. პირველად ის იყო ლაქიად ერთს სასტუმროში. აქ ის მოეწონა ერთს მდიდარს ამერიკელს, რომლის დახმარებითაც მერე კაცი გახდა. პირველად დააყენა ის თავის მოურავად და მერე გამართა ფულით. ამ ფულით ახალგაზდა ურიამ იყიდა ერთი პატარა გაზეთი, რომელიც მალე გაადიდა და აქცია დიდს ყოველ-დღიურ გაზეთად. აქვე, ურიის გაზეთის რედაქციასთან მოთავსებულია რედაქციები 5 სხვა გაზეთისაც.

ღამ-ღამობით ამ რედაქციების წინ იკრიბება დიდ ძალი ხალხი. მხცოვანი და ახალგაზდა, მამა-კაცი, დედაკაცი, ბავშვები, ქვევითები, ცხენიანები, ფურგუნებით, ქუჩის ბიჭები, დარბაისლები, — ყველა ესენი აქ იკრიბებიან, რათა იყიდონ გაზეთები და მეორე დღეს ქუჩა-ქუჩა ატარონ და ჰყიდონ. გაზეთით ვაჭრობა ამერიკაში განთავისუფლებულია ყოველგვარის ვარდ-სახადისაგან. ყველას თავისუფლად შეუძლიან ივაჭროს. მსურველი მიდის რედაქციაში ღამის სამს საათზედ, აცხადებს თავისს სახელსა და გვარს, შეაქვს ფული, იღებს კვიტანციას, რომლითაც სტამბიდამ მიიღებს აღნიშნულს რიცხვს გაზეთისას. მერე გამოდის დილით ადრე ქუჩაში, ხან დილის 4 საათიდგან, და იჭერს ალაგს. ათი-ათასობით ვაჭრობენ გაზეთებით მაღაზიებშიაც, რკინის გზის სადგურებზედაც. რამდენად სარფიანია ეს ვაჭრობა, შეიძლება წარმოიდგინოთ იქიდამ, რომ მეგაზეთეები აძლევენ თითო პატარა ბუტკაში ქირას წელიწადში ექვს ათასს დოლლარს. გაზეთის გამყიდველს აქვს რედაქციებიდგან დათმობილი მანათზედ 35—50 კაპიკი. რედაქციები უკანვე იღებენ გაუყიდველ ნომრებს ან უცვლიან ახლებზედ. ყველაზედ კარგად ვაჭრობენ ბავშვები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერთი მილლიონი ბავშვი ადგა ამ ხელობას. დილით ადრე მოედებიან ხოლმე მთელს ქალაქს და ყველას აჩრჩებენ ხელში გაზეთს. „ცხენუკაზედ", ელექტრონის ტრამვაიზედ, ყველგან სწრაფად გაჩნდებიან ხოლმე, ეს პატარა მეგაზეთეები და გაჰკივიან გაზეთების სახელებს. მრავალ ვაჭართ ჰყავთ ჯამაგირით, ან პროცენტის დათმობით აყვანილი ასეთი ბავშვები და დაარბენინებენ ქუჩებში, კარის-კარ სახლებში გაზეთების გასასყიდათ. გაზეთით ვაჭრობა ბევრს ღარიბს ოჯახობას ინახავს, ასაზრდოებს, ეს არის პირველი ხელობა პაწია მოქალაქისა დიდის რესპუბლიკისა. სულ ოთხის საათის განმავლობაში ნიუ-იორკში იყიდება რამდენისამე ათასის დოლლარის გაზეთი. დილის ექვს საათზედ მეგაზეთეები უკვე დგანან თავ-თავის ალაგას ისინი, ვინც სახლში ატარებენ გაზეთს თავიანთს მუდმივ მუშტართან, შვიდ საათამდის ათავებენ ამ საქმეს და მერე ქუჩაში ჰყიდიან. დილის 6

ვადმყოფოსაკენ გააქანეს, მაგრამ გასცილდნენ სადგურს თუ არა, საკაცე ჩატყდა, რადგან გულ-შეღონებული ძალზე მძიმე ყოფილა. როგორც იყო დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით მიიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ათი წუთის შემდეგ თქვენი ჭირი წაიღო—საწყალი გარდაიცვალა. მიცვალებული გასინჯეს და სთქვეს, ამას არაფერი სენი არ სჭირებია, გემში გალახულა და მიტომ მომკვდარაო. ეხლა ამ მიცვალებულის ნაცნობ-ნათესავებს დაეძებენ, რომ მიცვალებულს უჭირისუფლონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინა სჩანს.

კ. ოდიშარია.

⁂ ქ. ქუთაისი. **ველოსიპედებით მოსიარულენი.** ქუთაისში თუმცაღა ბევრნი არიან ველოსიპედის მოტრფიალენი და დღე ეტრფიალონ და ეაშიყონ კიდეც, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უწესოება, რაც შიგ „ბულვარში" (ბაღი) ხდება. გადასცილდება სამი-ოთხი საათი შუადღეს თუ არა, იკრიბებიან ბულვარში ყმაწვილები თავიანთის ველოსიპედებით: ეჯიბრებიან ერთმანეთს, თუ რომელი უკეთესად გააქანებს ველოსიპედს. ასეთს დროში ხან თვითონ ვარდებიან ველოსიპედიდან და იმსხვრევენ ცხვირ-პირს, ხან უწყალოდ ეჯახებიან მოსეირნე ხალხს და ზოგს რას უშავებენ და ზოგს რას... კარგი იქნება, ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისიც ჯერ არს, ან თვითონ მშობლები აღუკრძალავდნენ თავიანთს შვილებს ბულვარში ველოსიპედების დოლს. თუ მაინცა და მაინც არ მოიშლიან, განა სხვაგან ცოტა ადგილები აქვთ იმ დალოცვილებს, ეჯიბრონ ერთმანერთს, სანამ არ მოსწყინდებათ.

გურულ-მეგრელი.

⁂ სურამი. **წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით.** ამ მოკლე ხანში აქ საქველ-მოქმედო აზრით რუსულ-ქართულ წარმოდგენის გამართვას აპირებენ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ, სხვათა შორის, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი და შათირიშვილი. წარმოდგენის დროსვე აქ მყოფი გურული ჯარის-კაცები ითამაშებენ გურულად. ერთი ნაწილი წარმოდგენიდან შემოსულის ფულისა დანიშნულია სურამის უფასო წიგნთსაცავის სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნაწილი უნდა მიეცეს ერთს ქართველ ყმაწვილ კაცს, რომელმაც წლეულ გაათავა გიმნაზია და რუსეთში მიდის უმაღლესს სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად. იმედია, საზოგადოება გულ-მხურვალედ მოეკიდება ამ წარმოდგენას და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ.

— **სახლების სიძვირე.** დიდძალი ხალხი მოაწყდა წლეულს სურამს. სახლების შოვნა აღარ არის. ბევრია ძალიან ბაქოდან მოსული ებრაელები, რადგან ამ უკანასკნელთ ბორჯომსა და აბასთუმანში ყოფნა აღკრძალული აქვსთ.

— **მტვერით ვიღრჩვებით!** ქალაქებს იმიტომ გამოექცა ხალხი, რომ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქა. აბა რას წარმოიდგენდა, რომ აქ უარესი დღე დაადგებოდათ! სურამის დიდს ქუჩაზე ისეთი კორიანტელი დგება ხოლმე მტვრისაგან, რომ ზედ გავლა ყოვლად შეუძლებელია. ხალხი მტვრით იღრჩვება და პატრონი კი არავინაა. ნეტავ წყალს მაინც არ მიჰქონდეს სურამი; რომ ვინმემ სთქვას, წყალი არა გვაქვს და რითი მოვრწყოთ ქუჩაო!..

— **საბანძურე.** ვინა სთქვა, სურამი სუფთად არის შენახულიო?! მობრძანდით, დაათვალიერეთ სომხებისა და ურიების უბანი, ციხის გარშემო, და ნახავთ, რა სიბინძურეა გამეფებული აქ! ისე ჰყარს იქაურობა, როგორც ტფილისის საყასბო...

დროებით სურამელი.

⁂ ქ. პეტროვსკი (დაღისტანი). **წვლილი აფრიკელ ქართველთა გამოსაგზავნად.** მივიღეთ-რა „ცნობის ფურცლის" 142 №-ი და ამოვიკითხეთ აფრიკელ ქართველთა შესახებ, გული სიამოვნებით აგვიტოკდა, და თქვენის მოწოდება-რჩევის თანხმად, ხელის მოწერაც გავმართეთ; შეიკრიბა 8 მანეთამდის და ერთი და ორი იმოდენის შეკრების იმედი გვაქვს.

— **იაფ-ფასიან წიგნების საჭიროება ჩვენში.** თქვენს გაზეთში ვწერდი ამას წინად, რომ პეტროვსკში ქართულ წიგნების მსურველნი ბლომად მოიპოვებიან-მეთქი და ვსთხოვდი ავტორებს და გამომცემლებსაც, რომ იაფ-ფასიანი წიგნაკები მოეწვდინათ მსურველთა სულიერის წყურვილის მოსაკლავად არა უფასოდ, არამედ ფასით-მეთქი, მაგრამ თანხმად ჩემის რჩევა-მუდარისა სამმა მომაქცია ყურადღება და გამომიგზავნეს კიდეც. ი. როსტომაშვილმა თავისი გამოცემანი 19 წიგნი და ალმობიც. თედო სახოკიამ რუსულ-ქართული ლექსიკონი და ივ. ჩითავიშვილმა „სიალალ-მართლე კაცს არ დაჰკარგავს"; ხსენებულს წიგნებში უკანასკნელნი კარგად იყიდება—ყველასთვის ხელმისაწდომია, როგორც ფასით (5 კ.), ისე შინაარსით.

კიდევ ვიმეორებ ჩემს თხოვნას და მივმართავ პატივცემულთ ავტორთ და გამომცემელთ სახალხო იაფ წიგნებისას—გამოგვიგზავნონ თავიანთი გამოცემანი 20—30 ეგზემპლიარები (თუნდ ფას-დადებულის ამანათებით).

გიგო თოიძე.

⁂ მთიულეთი. **მოსალოდნელი შიმშილობა.** მდგომარე ზაფხულის დაწყებისათანავე თიანეთის მაზრის და კავკავის და გროზნის ოლქების სამზღვრებზე სანიტარ-ყარაულები დააყენეს. ყარაულების დაყენება იმან გამოიწვია, რომ თიანეთის მაზრიდამ საქონლის ჭირი არ იქმნას გადატანილი ხსენებულს ოლქებში და მთლად ჩრდილო კავკასიაში, რომელიც თავისუფალი და უზრუნველყოფილია (?) საქონლის ავადმყოფობიდამაო.

თიანეთის მაზრის მცხოვრებნი პირიქით (კავკასიის ქედის იქითა მხარეზე) ხევსურნი, თუშნი და ქისტნი წლის-წლობემდე თვით ბუნებისაგანვე არიან მოწყვეტილი დანარჩენ მეზობლებისაგან. გზა ეხსნებათ მხოლოდ ზაფხულობით და თუ ვინმე მათგანმა ზაფხულის წყალობით არ ისარგებლა, მთელი დანარჩენი წლის დრო უნდა გულ-ხელ დაკრეფილი მშიერი მუცლით იჯდეს სახლის კერასთან.

თვით მთის მცხოვრებთ საკუთარი მამულ-დედული ისეთი მცირე აქვთ, რომ მიწის მოსავალი კი მოჰყავთ, მაგრამ ვაი ამ მოყვანას და ვაი ამ მოსავალს! ილაჯ-გაწყვეტილობაა, მედგარი ბრძოლაა ბუნებასთან და ყველა ამის სანაცვლოდ სულ მცირედი მოსავალია.

რაკი ბუნება არ უწყობს ხალხს ხელს, ამათაც მეტი რაღა დარჩენიათ, რომ სხვა გვარი ღონე უნდა ეღონათ, რომ თვისი სიცოცხლე შიმშილით სიკვდილისაგან უზრუნველ ეყოთ.

ხვნა-თესვის გარდა, ყოველ მთიელს ცხვარი და ძროხა ჰყავს. ამ საქონლის მონაგარი ყველი და ერბო მთიელს ბაზარში გააქვს და ან პირდა პირ პურ-ქერ-მარილზე და სხვა საჭირო სავაჭროზე სცვლის, ან ფულად ჰყიდის და აღებული ფულით ოჯახის ნაკლულოვანებას ივსებს. ეს ვაჭრობა მთიელს მხოლოდ ზაფხულობით აქვს და ისიც უეჭველად ზემოხსენებულს ოლქებში, რადგან მას მახლობელი ბაზარი არ მოეპოვება.

ასე იყო, არის და იქნება, ვიდრე ხსენებულს მთის ხალხს არ ეღირსება რიგიანი გზა-კვალი სხვა ბაზრის მოსაპოვებლად.

⁂ დოესის საზოგადოება (ქართლი). **მამასახლისის უწესო არჩევანების შედეგი.** ნეტავი მთელ მაზრაში მოიპოვება ასეთი უპატრონო საზოგადოება, როგორიც არის ამ ჟამად დოესისა! „ცნობის ფურცლის" მკითხველებს მოეხსენება, რომ ხსენებულ საზოგადოებაში მამასახლისის არჩევანები არ შესდგა, რადგანაც არა ჩვეულებრივი არეულობა მოახდინეს ზოგიერთა ვაჟბატონებმა და მთავრობას სურვილი აქვს დანიშნოს თავის-თავად სახელმწიფო მამასახლისი. აგერ მესამე თვეა შევყურებთ ამ დანიშვნას და ჯერაც არსად არის. ძველი მოხელეები ყურს არაფერს უგდებენ, ამით სარგებლობენ სოფლის ქურდ-ბაცაცები და ლამის სოფლები აიკლონ. აგრეთვე ხდება საშინელი უწესოება ყოველ ხარჯების აკრეფაზედ, მაგალითად, ამ ჟამად ს. ხოვლეში ჰკრეფენ წვრილმან ხარჯებს, რომელსაც სოფლის „აბლოკატები, პოვერნიები" არქმევენ თავიანთ დანახარჯებს რაღაც სასოფლო, მითომდა, საქმეებზედ. ხალხი, რასაკვირველია, თხოულობს ანგარიშს და პატრონი-კი არავინ არის, რომ მიაქციოს ყურადღება ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას.

— **საქონლის ჭირი,** ს. ხოვლეში გაჩნდა შინაურ პირუტყვზედ თურქული და ჭირი; უკანასკნელმა იმსხვერპლა ჯერ-ჯერობით ხუთი სული, დახოცილებს პირდაპირ სოფელში ჰყრიან, რისგანაც მთელ სოფელში საშინელი სუნი სდგას. ამ გაცხარებულ მუშაობის დროს ხალხი მოკლებულია შინაურ საქონელს, არ იციან რით მიზიდონ თავიანთ წვითა და დაგვით მოყვანილი ჭირნახული და და ან რით გალეწონ უკანასკნელი. ნუ თუ ჩვენს საზოგადოებას პატრონი არავინ გამოუჩნდება, რომ მიაქციონ ყურადღება ამდენ უბედურებას?.. ნეტავი ბეითალს გამოგვიგზავნიდნენ, რომ ხალხისთვის მიეცა დარიგება—რა ღონისძიება იხმარონ სოფლის მეურნეობის საშინელ მტერთან.

— **გამოძიება.** როგორც მოსალოდნელი იყო, საგუბერნიო მმართველობას მიუქცევია ყურადღება უკანასკნელ არეულობაზედ, რომელიც მოხდა მამასახლისის არჩევანებზედ და მოუთხოვია მაზრის უფროსისაგან და მომრიგებელ-შუამავალისაგან ცნობები,—რისგან ხდება ეს არა ჩვეულებრივი უწესოებანიო, უეჭველია, უკანასკნელნი მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას და მისცემენ მთავრობას ხელში იმ პირთ, რომელნიც არიან მოთავენი სოფლის არეულობაში, რითაც თვითონვე სარგებლობენ და იტენენ თავიანთ ჯიბეებს. ხალხს-კი იმათი წყალობით ერთმევათ ის ერთად ერთი უფლება—მოხელეების ამორჩევა, რომლის წყალობით აქნობამდინ განაგებდნენ თავიანთ საქმეებს.

— **ახალი მომრიგებელ-შუამავალი.** როგორც შევიტყეთ, პატივცემული მომრიგებელი შუამავალი ნ. გ. ი. თარხნიშვილი ფიცხლათ შესდგომია სოფლის წურბელების გამოაშკარავებას და კიდეც ერთი იმათგანი ცნობილი „პოვერნია" გ. ედ—შვილი მიუცია პასუხის გებაში. იმედია, პატივცემული თარხნიშვილი არ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას და მიიღებს მხურვალე მონაწილეობას სოფლის ავ-კარგიანობაში, რადგანაც, როგორც თითონ გამოაცხადა ამას წინათ ხალხში, ს. ხოვლეში: „პირველად ჩემი ყურადღება იქნება მიქცეული ქვრივ-ობლებზედ, რომ ისინი არავინ დაჩაგრონ, მეორე, რომ სოფლის მოხელეებმა, ჩვეულებრივ, აღარ ყვლიფონ ხალხი, ყოველ გვარ ხარჯების გასინჯვა და ანგარიში". იმედია, ამის შემდეგ სოფლის „პოვერნიები" ცოტაოდნად მა-

---

საათზედ გამოდიან ქუჩაში პირველად მუშები. ისინი მიისწრაფიან ფაბრიკებში, ქარხნებში, სახელოსნოებში. ესენი ყიდულობენ იაფ-ფასიან (2 კაპ.) გაზეთს. ასეთი იაფი გაზეთი შესდგება ექვსის დაბეჭდილის თაბახისაგან მრავალის ნახატებით ყოველ გვერდზედ.

მუშებს მოჰყვებიან ნოქრები, ქალები—გადამწერები მაშინაზედ, რომლებიც თითქმის ყოველ კონტორაში მუშაობენ და რომელთაც განდევნეს მუშაობა კალმით. ესენიც ყიდულობენ იაფ გაზეთებს. „ცხენუკები", ტრამვაები და ვაგონები ქალაქის რკინის გზისა დილითვე ივსება ხალხით. აქ მსწრაფლ გაჩნდებიან მეგაზეთეები და დაძვრებიან ხალხში ყვირილით: „ახალი გაზეთი, ცხელ-ცხელი ამბები!".

9 საათზე გამოდიან ვაჭრები, ბანკირები, კანტორების პატრონები, საზოგადოდ მდიდარი ხალხი. ყოველი მათგანი მუდმივი ხელის-მომწერია ან მუდმივი მყიდველი რამდენისამე გაზეთისა. ყოველ მათგანს ჯიბეში აქვს რომელიმე გაზეთი. 10 საათზედ გაზეთით ვაჭრობა უკვე ისპობა. 11 საათზედ ბაღებში მებაღეები ჰგვიან გზებს და აგროვებენ აუარებელს რიცხვს წაკითხულ და გადაგდებულ გაზეთებისას. კონდუქტორებსაც გამოაქვთ იღლიებით წაკითხული და გადაყრილი გაზეთები. მატროსები ჰყრიან მდინარეში. რის ნიშანია ეს? იმისი, რომ ამერიკელი გაზეთში ეძებს მხოლოდ ახალ ამბავს; რა გადაათვალიერა ახალი ამბები, მისთვის გაზეთი საჭირო აღარ არის და გადააგდებს. გადააგდებს იმიტომ, რომ რაც უნდა ბევრიც მოაქუჩოს, მუშტარს ვერ იშოვის, რადგან ქაღალდი ამერიკაში ძალიან იაფია, თითქმის გადასაყრელი. ყოველი ამერიკელი უთუოდ კითხულობს რომელსამე გაზეთს, როგორც თევზი უწყლოთ, ისე ამერიკელი უგაზეთოდ ვერ გასძლებს.

ღამ-ღამობით ნიუ-იორკის ქუჩებზედ აქა-იქ ჰხედავთ ელექტრონის განცხადებებს, რომელსაც ძალაუნებურად აქცევთ ყურადღებას. თქვენს თვალწინ აჰრელებულია ათას-ფერის სხივებით წარწერა: ეს არის რედაქციის განცხადება რომელსამე გაზეთისა.

განცხადებებს დახმარება აღმოუჩინა არქიტექტურამაც. ურია პულიცერმა ააშენა სახლი რედაქციისთვის სწორედ ისეთი, როგორც მართლ მადიდებლების ეკლესია. ჯემს გორდონ ბენნეტმა ერთ მილლიონ დოლლარზედ მეტი დახარჯა და ააშენა რედაქციისთვის ისეთი სახლი, რომლის ბადალი მთელს ქვეყანაზედ მეორე არ არის. იგი სახლი იქამდის კოხტა და თავისებურია, რომ ყოვლად შეუძლებელია მგზავრი არ შეჩერდეს და ყურება-სინჯვა არ დაუწყოს. ვინც ერთხელ ნახავს ამ სახლს,—მის დღეში აღარ დაავიწყდება. გორდონის გაზეთი იბეჭდება დღეში 650 ათას ცალად.

რედაქციის შენობა მოწყობილია ისე, როგორც არც ერთი სხვა რედაქციისა ქვეყანაზედ, მთელი ბრბო ხალხისა დღე და ღამ სდგას ამ უშველებელ და შესანიშნავ შენობის წინაშე და უცქერის უშველებელ სარკიან სარკმელებში, თუ ვითარ ბეჭდავს მანქანა ყოველ საათში 60 ათასს ცალს გაზეთს. გარედამ ეს სახლი მოგაგონებთ სასახლეს ვენეციის დოჟისას, შიგნიდამ სამინისტროს. სახლი ორ-სართულიანია და უჭირავს უშველებელი ადგილი. ქვედა სართულის კედლები მთლად სარკისა და მინისაა, ამიტომ მეორე სართულს იმაგრებენ ბოძები. ჭერის კუთხეებზედ გამოქანდაკებულია ბუები, რომელთა თვალები ღამ-ღამობით ანათებენ ელექტრონის სინათლით. ფასადის კედლის თავზედ დადგმულია უშველებელი ზარი, აქეთ იქით მოსდგომიან ორი მჭედელი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულები. თითქოს ამ ზარსა სჭედამენო, ისე სცემენ უშველებელს ჩაქუჩებს მჭედლები. ამით აღნიშნავენ საათს;

შიგნით რედაქცია ნამდვილს სამინისტროს წარმოადგენს. აუარებელი რიცხვია თანამშრომელთა. აქ იღებენ განცხადებას, იქ ფულს, იქ ხელის-მოწერას, აქ კორესპონდენციებს, იქ ცალკე იძლევიან რედაქციის პასუხებს და სხვა და სხვა. ვსთქვათ ხელთნაწერი მოგიტანიათ და პირად ნახვა გსურთ რედაქტორისა ან მთავარ თანამშრომლისა; ამისათვის უნდა აბძანდეთ მეორე სართულში, აქ ჩინებულად მორთულს ზალაში მიგიღებთ დიდის თავაზიანობით მორიგი და გკითხავთ: „რისთვის გარჯილხართ"ო? ეუბნებით სურვილს. ის მაშინვე გაძლევთ საგანგებოდ მომზადებულს ბლანკს, რომელზედაც უნდა დასწეროთ, თუ რა გაიძულებთ უთუოდ რედაქტორის ნახვას, დასწერავთ, ამ ბლანკს, შაჰგზავნის შიგნით რედაქტორთან. მთავარი რედაქტორი ძალიან იშვიათად გამოვა თითონ; უფრო ხშირად საპასუხოდ ის გამოჰგზავნის ხოლმე თანამშრომელს. საზოგადოებას არ მოსწონს ასეთი საქციელი რედაქტორისა, მაგრამ რას იზავთ. ძალა უნებურად უნდა შეურიგდეთ ამას და გამოჰბრუნდეთ საგაზეთო რომიდამ საგაზეთო პაპის უნახველი.

ინც შეშინდებიან და მოსპობენ თავიანთ ურცხვს ძარცვა-გლეჯვას.

დექციხელი.

⁂ **ქ. გორი.** ახირებული ღონე გამოტეხისათვის. 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ქალების ტანისამოსის მკერვალის ნ. კ—შვილის მაღაზიაში მივიდა ეტლით კნ. ერისთავისა, დაბადებით ქ-ნი მოსტოვიჩისა, რაღაცის საყიდლად. ეტლში მოსახურავი, ეგრედ წოდებული „პელერინა“ დარჩენოდა კნეინას. როცა ეტლი გაისტუმრა, მოაგონდა, რომ შიგ „პელერინა“ დარჩენოდა და მაშინვე აფრინა კაცი მეეტლესთან, რომლის ნომერიც კარგად იცოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ უდიერი საქციელი მეეტლისა! ამ ვაჟბატონმა შემოუთვალა კნეინას, რომ „პელერინა“ მართლა დაგრჩათ ეტლში, მაგრამ მკერვალის ნ. კ—შვილის ბიჭმა წაიღოვო, მაშინ, როდესაც მკერვალის ბიჭს, დავითაშვილს, რომელიც მეეტლემ დაასახელა, თვალითაც არ უნახავს არც ის მეეტლე და, მაშასადამე, არც „პელერინა“, რადგანაც იმ დროს, როცა კნეინა ერისთავისა მაღაზიაში შევიდა, ის ბიჭი იქ არ იმყოფებოდა—სახლში ჰყავდა გაგზავნილი ნ. კ—შვილს. მიუხედავად ამ გარემოებისა და მიუხედავად იმისაც, რომ მკერვალი ნ. კ—შვილი ეფიცებოდა, ეს ბიჭი ოთხი წელიწადია ჩემთან არისო, მაგრამ ნემსის საფასი რამ არა დამკარგვია-რაო; ყმაწვილი პოლიციაში წაეყვანათ. საბრალო ბავშვს ისე გაუჭირეს სა- Yobens nobens ათქმევინეს შემდეგი: ქმე, რომ მე მოგიტანთ აქ იმ „პელერინასა“ო. მაგრამ, რაც არა ჰქონდა რა უნდა მოეტანა! და სადღაც გადაიკარგა, რომელსაც ეხლაც დაეძებენ...

როდესაც ამისთანა შემთხვევებს ხშირად ჰხედავს ჩვენის ცხოვრების მეთვალყურე, თავში უნებლიედ ებადება კითხვა: „ნეტა, როდის მოვა ის დრო, რომ ძალ-მომრეობას არ ექნეს ადგილი ადამიანის დასჯაში და „პრისტაულ სილებისა“ და ცხვირ-პირის მტვრევისაგან განთავისუფლებულ იქმნან არამც თუ უდანაშაულონი, არამედ ნამდვილნი დამნაშავენიც?..

Yeritas.

⁂ **ს. დისევი** (ქართლი). ავაზაკებზედ. ენა ვერ მოსთვლის, გული ვერ იგრძნობს ამისთანა სატანჯველს და უბედურობას, რა უბედურებაშიაც ვართ ჩაცვივნულნი საწყალნი და დაჩაგრულნი დისეველები, მაგრამ რამ დაგვჩაგრა? ზოგი ლეკიანობას რომ იტყვიან, სწორედ ის დრო წარმოგვიდგებათ, სამის დღით რომ მობრძანდეთ ს. დისევში.

3 ამა თვისას მოგვივიდა ავაზაკებისაგან წერილები, ერთი წერილი მღვდელ გაბრიელ ოქროპირიძესთან და მეორეც დიაკვან ვანო ოქროპირიძესთან. აი კოპიო ამა წერილებისა: „გაბრიელ მღვდელო! საქაო გერჩიოს საიქაოსა, მისამარ მოამზადე თხუთმეტი თუმანი, შენი შვილის ცხენი, მკათათვის გასულამდინ, თორემ განახავთ ყველანი; ტყის პირში მოგვიყვანეთ თქვენი ჩაფრითა. ი. ფ.“ მეორე წერილი იყო დაწერილი შემდეგის სიტყვებით: „ვანო დიაკვანო! მისამარ გამოგვიგზავნე ხუთი თუმანი ფული და შენი შვილის ცხენი, მკათათვის გასულამდინა, თორემ მოვიდა შენი უბედურების დღე“... მოდი და ამის წამკითხველს გული ნუ აუძაგძაგდება და სული ნუ აუშფოთდება, ან რაღა ძილი უნდა მოერიოთ, როცა ხედავენ თავიანთ უბედურობის დღეს.

ამავე საღამოთი დედაკაცებმა დაინახეს ტყის პირში ხეებზედ მსხდომნი შეიარაღებულნი ავაზაკები. შეუდგათ, დიდს თუ პატარას, ძაღლსა თუ კატას დიდი ალიაქოთი და თავში ცემა. ყველანი გარბოდნენ დასამალავად, მხოლოდ ხუთი შეიარაღებული კაცი კი დაუემზადენით სტუმრების დასახვედრად, მაგრამ, იღბალზედ, იგრძნეს მათაც თავიანთი უბედურობის დღე და სოფელში ველარ ჩამოჰბედეს.

ამ თვის ექვს, დაიწყეს ტყის პირში ერთი დიდი სიმღერა და ბოლოს მგლებივით ასტეხეს ღმუილი. ყველას ეგონათ, რომ აი ახლა მაინც გვეწვევიან ჩვენი საზიზღარი სტუმრებიო, დედაკაცეცები და ბავშვები აქეთ-იქით მიიმალნენ. დავრჩით მხოლოდ ზოგიერთი თოფიანი კაცი მტერ მეგობრების დასახვედრათ. ვართ ასე შიშის ზარ ქვეშ აწიოკებულნი და ყოველ ცისმარე წუთს უბედურების მომლოდინე. ვინ არის პატრონი, ვინ არის ჩვენი მხსნელი?!

საშა ოქროპირიძე.

სამეურნეო ცნობა.

ნამყნების დასაგლესი ცომი. ყველაზედ საუკეთესოდ ნამყნების დასაგლესად, აგრეთვე ქერქ აგლეჯილი ხეების მოსაკეთებლად ამ ხანად ცნობილია პროფ. მენდელეევის ცომი („ზამასკა“—„პლასტიკა“). ცომი მზადდება ამ გვარად: ¼ გირვანქა ხალასი კოშტი სანთელი უნდა გადნეს ნელ ცეცხლზედ, მდნარი უნდა ურიონ, რომ ზევით ქაფი არ მოიგდოს და ძირს არ დაილექოს. გამდნარ სანთელს მიუმატებენ ნელ ნელა ერთ გირვანქა კანიფოლს, თან უნდა ურიონ იქამდის, სანამ დაკარგება სუნი კანიფოლისა და სანთლისა; ამის შემდეგ აგრეთვე ნელ-ნელა მიემატება 38½ მისხალი ხალასი მუმია (უთიხო და უქვიშო) და 1—5 მისხალამდე სელის ზეთი. ამ გვარად მომზადებულ ცომს ისეთი ღირსება აქვს, რომ მაგრად უცობს ხის ნაჭრეტებს და ჭიერს ოდნავ არ აკარებს, ამასთანავე ამ ცომზედ კარგად ეკრობა ქაღალდი, რაც განსაკუთრებით უკეთესია ჩვრებსა და ჭილობზედ, რომელნიც ხელს უწყობენ ჭიერის მოძრაობას და ჭიერთან ბევრი რამე ჩადის ნაჭრეტებში.

გამოსადეგი ცნობა.

რძე, როგორც ცეცხლის გამქრობი საშუალება. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ რძე, როგორც საქრობი საშუალება, განსაკუთრებით, როცა ცეცხლი ნავთს უკიდია, ამ ჟამად საუკეთესოდ ცნობილია. წყლით, მაგალ., გასაჭირია ცეცხლ-წაკიდებული ნავთის გაქრობა, ხოლო იმავ დროს ცეცხლ მოკიდებულ ნავთს საკმარისია ცოტაოდენი რძე დაასხათ, რომ ცეცხლი ჩააქროს დაუყოვნებლივ.

—

საჩაიედგან ჭუჭყის მოსაცილებელი საშუალება. ყველამ იცის, რომ საჩაიე („ჩაინიკი“) დიდი ხნის ხმარების შემდეგ ჭუჭყიანდება განსაკუთრებით წყლის გამოსაშვებ ყელთან, საიდგანაც ჭუჭყი აღარ ეცლება უბრალო რეცხვითაც. ამის თავიდგან ასაცილებლად ცნობილია შემდეგი საშუალება: საჩაიეს აავსებენ ადუღებული წყლით, რომელშიაც გაურევენ 1/100 ბორნის სიმჟავეს (борная кислота), საჩაიე, თავზედ, გადაფარებული რამდენიმე ფენ ტილოთი, კარგა ხანს იდგეს სამოვარზედ, ჭუჭყი მოსცილდება ყელს და რომ სრულებით გასუფთავდეს, საკმაოა ერთი ორჯელ გამოირეცხოს სუფთა წყლით.

წვრილი ამბავი

შუშისგან გაკეთებული ქალების სამკაულები. ვარშავის შუშის ქარხნების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ პრუსიის მმართველობას აუკრძალავს კეთება და საზღვარიდგან შემოტანა შუშისაგან გაკეთებულ ქალის სამკაულებისა, რადგანაც პრუსიის მედიცინურ გამგეობას დაუნახავს ერთი სამკაული მავნებლად იმ პირებისთვის, რომლებიც ატარებენ.

—

სოლომონისებური განკარგულება. ერთს რუსულ გაზეთში (Орловск. Вѣст.) სწერია მეტად ახირებული ამბავი. საქმე სწარმოებს სოფ. აპრაქსინაში. ამ სოფელში, თურმე, საშინელი გვალვა იყო და სამი თვე წვიმა არ მოსულიყო. გლეხობამ ბევრი იფიქრა, ბევრი თავი იმტვრია და ბოლოს გადასწყვიტა თავიანთ მამასახლისისათვის მიემართნათ თხოვნით: გვირჩიე რამე, გვალვამ დაგვღუპა და რა მოვიმოქმედოთო. მამასახლისმა შეჰყარა მთელი სოფელი და ერობა, აირჩია სოფლის დარბაისლები—მოხუცნი და გამართეს თათბირი, თუ როგორ ეშველოს უწვიმობასო. დიდ ხანს იბაასეს, თურმე, მოხუცებულებმა და ბოლოს მამასახლისის წინადადებით წვიმის მოსაყვანად გადასწყვიტეს შემდეგი: ტანთ გავხადოთ სოფლის ყველა ქალებს, გასათხოვრებს და ახალგაზდა გათხოვილებსაც, ჩავრეკოთ მდინარეში და ყველა გაბანავოთო. ამაზედ ერობა ერთ ხმით დაეთანხმა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ეს გარდაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. ყველა ქალებს ტანთ გაახდევინეს და მდინარეში გაგზავნეს საბანაოდ. მთელი სოფელი-კი მდინარის ნაპირას იდგა და შეჰყურებდა ასეთს იშვიათს მასკარადს... და წარმოიდგინეთ, საღამოზე კოკის პირული წვიმა მოსცდა სოფელს... მთელმა სოფელმა დიდი მადლობა გადაუხადა თავისს მამასახლისს ასეთის სოლომონისებურის განკარგულებისათვის...

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.
ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.
ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკითან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ-ნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.
ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.
ლანჩხუთში—„შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.
საჭილაოში—„შუამავალში“.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ჭიათურაში: ირაკლი ღიკანოზიშვილთან.
ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.
განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.
ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.
კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სუოხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გოლელიშვილთან.
სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში ძ თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.
ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში: პავლე გურცხალიასთან.
ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.
გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.
ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—13) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი**.

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული
ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი
„**ქართველთა ტომი**“ ასამდე სურათით
და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს
5 მანათად.
ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისადა ამხ. ნიკ. ქ. № 21.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია